



## საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტული ეროვნული კომისია

### გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა N28/2

2019 წლის 16 აპრილი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ  
კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური  
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოქალაქე ვ. ლომიტაშვილის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№3675/01. 03.04.2019), მოქალაქე ნ. ცერცვაძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№3711/01. 04.04.2019), შპს „თეიმ პლამას“ წარმომადგენელის თ. მარლიშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№3724/01. 04.04.2019), მოქალაქე ი. წერეთლის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№3835/01. 08.04.2019), მოქალაქე მ. ნერსესიანის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№3896/01. 10.04.2019), მოქალაქე ი. რამიშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№3911/01. 001.04.2019), მოქალაქე გ. მეფარიძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№3985/01. 11.04.2019), განცხადებების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის ვადის განსაზღვრის საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია

ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ განცხადებებთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოსაცემად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის საჭიროა განცხადებათა დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლისა და კომისიის 2017 წლის 29 დეკემბრის N54 დადგენილებით დამტკიცებული „სადავო საკითხების განხილვის პროცედურული ქესების“ მე-14 მუხლის საფუძველზე, კომისიამ

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მოქალაქე ვ. ლომიტაშვილის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№3675/01. 03.04.2019), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად

განისაზღვროს 2019 წლის 04 ივლისი.

2. მოქალაქე ნ. ცერცვაძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№3711/01. 04.04.2019), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 05 ივლისი.

3. შპს „თეიმ პლამას“ წარმომადგენლის თ. მარლიშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№3724/01. 04.04.2019), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 05 ივლისი.

4. მოქალაქე ი. წერეთლის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№3835/01. 08.04.2019), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 09 ივლისი.

5. მოქალაქე მ. ნერსესიანის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიმართ (№3896/01. 10.04.2019), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 11 ივლისი.

6. მოქალაქე ი. რამიშვილის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№3911/01. 001.04.2019), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 11 ივლისი.

7. მოქალაქე გ. მეფარიძის შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიმართ (№3985/01. 11.04.2019), განცხადების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2019 წლის 12 ივლისი.

8. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს განცხადების წარმდგენ პირებს.

9. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღების დღიდან.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N 6) მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.


ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე



გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი



გოჩა შონია

კომისიის წევრი



დავით ნარმანია

კომისიის წევრი

